სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

69519101938122

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221434181

რეგისტრაციის თარიღი

20.10.2022 წ

ნოტარიუსი: შორენა გოგორიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
ტელეფონი: +995 595 075225

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ოც ოქტომბერს მე, ნოტარიუს შორენა გოგორიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2 მომმართა შპს ,,ენ ჯი"-ს (ს/კ 405228025) დირექტორმა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან , განცხადების რეგისტრაციის ნომერი B20019958, მომზადების თარიღი 26/02/2020 10:05:00, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვეთი N90/13), საიდენტიფიკაციო კოდი # 405228025) ნაუმი მშვენიერაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ნაუმი მშვენიერაძემ (დაბ. 05.12.1980 წ. პ/ნ 01024019183 , რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ა.აფაქიძის ქ. N 5 ბ. 51) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დირექტორის უფლებამოსილება შემოწმებულია საზოგადოების ამონაწერით და წესდებით, მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მისი სიტყვებით აღნიშნული მინდობილობა, რომელიც ჩავიწერე ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განვუმარტე ამ მინდობილობის შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ ნაუმი მშვენიერაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა და განაცხადა, რომ ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მან პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას

მინდობილობა

მე, ნაუმი მშვენიერაძე, როგორც შპს ,,ენ ჯი" -ს (ს/კ405228025) დირექტორი, შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი ", წინამდებარე მინდობილობით დავით ლოსაბერიძეს (დაბ. 14.03.1967წ. პ/ნ 01005006844) , შემგდომში ,,მინდობილი პირს" ვანიჭებ შემდეგი სახის უფლებამოსილებას:

იყოს ჩემი წარმომადგენელი უძრავ ქონებებთან დაკავშირებით (რომლის საკადასტრო კოდია # 01.17.01.090.013) ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ლეგალიზაციის განყოფილებაში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მუნიციპალიტეტში, გამგეობაში, თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში და ა.შ. განახორციელოს ნებისმიერი პროცედურა, რაც დაკავშირებულია პროექტისა და წითელი ხაზების კორექტირებასთან, შეათანხმოს არქიტექტურული სამშენებლო პროექტი, აიღოს მშენებლობის ნებართვა, მოახდინოს შენობა-ნაგებობი ექსპლუატაციაში მიღება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში გამოასწოროს ნებისმიერი სახის ხარვეზი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გამოითხოვოს, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია ნებისმიერი დაწესებულებიდან, შეათანხმოს პროექტი, მოახდინოს კორექტირება, შეაგროვოს, წარადგინოს, მოითხოვოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, ტექტნიკური პირობები, ნებართვები, თანხმობები და ნებისმიერი საჭირო (დოკუმენტი) და ა.შ.

აიღოს მშენებლობის ნებართვა, გააგრძლოს მშენებლობის ნებართვის ვადა, შეიტანოს ცვლილებები პროექტში, აწარმოოს ყველა საჭირო პროცედურა რაც დაკავშირებული იქნება მშენებლობასთან და საპროექტო სამუშაოების შესრულებისთვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან და ლეგალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურები, ასევე მოახდინოს ფართების ლეგალიზაცია, რეგისტრაცია, ჩააროს (ატვირთოს და მიიღოს დოკუმენტაცია როგორც ელექტრონულად ასევე კანცელარიის მეშვეობით. შეიტანოს ყველა სახის განცხადება და მოაწეროს ჩემი სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას.

მინდობილობა გაცემულია ექვსი ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, დანარჩენი გადაეცა მხარეს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის 1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან- # B20019958,

2. შპს ენ ჯი -ს (ს/კ405228025) წესდება ხელისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის საიტზე;

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30 ლარი (`სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.7-ის თანახმად) აგრეთვე, დ.ღ.გ. 5.40 ლარი (თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 40.40 ლარი.

მიმნდობი ნაუმ მშვენიერაძე

საქართველოს ნოტარიუსი